



## თურქეთის შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველთა ეროვნული ცნობიერება

ნიკოლეიშვილი ა.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ანოტაცია:** ნაშრომში გაანალიზებულია თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველთა ყოფის შესასწავლად 2015 წლის ზაფხულში მოწყობილი სამეცნიერო მივლინების შედეგად მოპოვებული მასალები. ხსენებულ რეგიონში უმთავრესად ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. ისინი იქ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ პერიოდში გადასახლდნენ რუსეთის მიერ იმხანად მიერთებული ქართული ტერიტორიებიდან. მათ შთამომავალთაგან წინაპართა ენას დღესდღეობით ძირითადად უფროსი თაობის წარმომადგენლები ფლობენ; დანარჩენთა ნაწილი თავის ეროვნულ წარმომავლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს, ნაწილმა კი, მართალია, ქართული არ იცის, მაგრამ მაინც ქართველობს და ამყოფს თავისი ეროვნული წარმომავლობით.

**საკვანძო სიტყვები:** ეროვნული ცნობიერება

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებისგან შემდგარი სამეცნიერო ექსპედიციის წევრები უნივერსიტეტის რექტორატის ფინანსური თანადგომით 2015 წლის 3 აგვისტოს ათი დღით თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვისპირეთის რეგიონებში მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრების გასამართად და მათთან დაკავშირებით ახალი მასალების მოსაძიებლად გაემგზავრეთ.

სამეცნიერო ექსპედიციის შემადგენლობაში უნივერსიტეტის ხუთი წარმომადგენელი შევიდა: ამ სტრიქონების ავტორი – სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელი, ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი; რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი შალვა კირთაძე; უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს თავმჯდომარე, ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი სულხან კუპრაშვილი; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ლუკა დვალიშვილი და აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, თურქოლოგი გიგა ქამუშაძე.

წინასწარ შედგენილი გეგმის შესაბამისად, სამეცნიერო მივლინების პერიოდში ექსპედიციის წევრებს შეხვედრები უნდა გაგვემართა თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველებთან. კერძოდ, ჩვენი ათდღიანი მოგზაურობის მარშრუტი ითვალისწინებდა ზემოთ აღნიშნული მიზნით შეძლებისდაგვარად მოგვევლო მურღული, ორდუ, ფაცა, უნიე, სამსუნი, სინოპი და მათი მიმდებარე ქართული სოფლები იქ მცხოვრებ ჩვენებურებთან გასაუბრების შედეგად მათ ისტორიულ და თანადროულ ყოფასთან დაკავშირებით ახალი მასალების მოსაპოვებლად.

სამეცნიერო ექსპედიციის მუშაობის უფრო მიზანმიმართულად წარსამართად, თურქეთში გამგზავრებამდე იქაურ ქართველებთან გასაუბრების საორიენტაციო კითხვარიც შევადგინე, რომლის მეშვეობითაც შევეცადე, წინასწარვე მოემზადებინა სათანადო საფუძველი ჩვენებურებთან გასაუბრების დროს ჩვენი ექსპედიციის პერსპექტიული გეგმით განსაზღვრულ უმთავრეს საკითხებზე განსაკუთრებული ყურადღების გასამახვილებლად.

ყოველივე ზემოთქმულის არსზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, გთავაზობთ ხსენებულ კითხვარს:

– როდის დამკვიდრდნენ შესწავლის საგნად ქცეულ რეგიონებში მცხოვრებ ქართველთა წინაპრები და ძირითადად საიდან არიან ისინი წამოსულები?

– რა იციან მუჰაჯირობის განმაპირობებელ ფაქტორებზე და როგორ აისახა ეს მოვლენა მათ ზეპირგადმოცემებში?

– რამდენს ახსოვს თავისი წინაპრების ქართული გვარი?

– მათი ვარაუდით, მათ რეგიონსა და საერთოდ, თურქეთში, რამდენი ქართველი ცხოვრობს?

– მათგან რამდენმა იცის ქართული ენა და რამდენმა ქართული წერა-კითხვა?

– მათი აზრით, თურქეთელ ქართველთაგან რამდენი იყენებს ქართულს მთავარ საკომუნიკაციო ენად?

– რამდენად იცავენ თხოვა-გათხოვების დროს ეთნიკურ სიწმინდეს?

– რა ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ აფხაზებთან და ლაზებთან?

– რა იციან საქართველოს ისტორიული წარსულიდან?

– რა იციან დღევანდელ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ?

– ვის გაიხსენებენ ქართველი ხალხის დიდი შვილებიდან (თამარ მეფე, დავით აღმაშენებელი, რუსთაველი...)?

– დღესდღეობით როგორი მდგომარეობაა ქართული ენის ცოდნის თვალსაზრისით?

– თურქეთის ხელისუფლების მიერ მიღებული კანონის შესაბამისად, არის თუ არა შესაძლებელი მათი რეგიონის სკოლებში შემოღებულ იქნეს ქართული ენის სწავლება?

– საქართველოსთან ურთიერთობის თვალსაზრისით რა შეიცვალა მათ ცხოვრებასა და ცნობიერებაში სარფის სასაზღვრო ჭიშკრის გახსნისა და ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ?

– რა სურვილები აქვთ ქართველებთან და საქართველოს მთავრობასთან?

– თურქეთში გამოდიოდა ქართული ჟურნალები: „ჩვენებური“, „ფიროსმანი“, „მამული“, არის ინტერნეტრადიო „ჩვენებური.“ რა იციან ამათ შესახებ?

– არიან თუ არა მათ რეგიონში ეთნიკურად ქართული წარმომავლობის მწერლები და სახალხო მთქმელები, და თუ არიან, რა ადგილი უჭირავს მათ შემოქმედებაში ქართულ თემატიკას?

– ქართულენოვანი წიგნი, ხელნაწერი ანდა რაიმე წარწერა თუ მოიპოვება მათ რეგიონში სადმე?

– გაიხსენონ ქართულენოვანი ფოლკლორის ნიმუშები. თემატურად რა მთავარი საკითხები იქცა მათი სახალხო მთქმელების შთაგონების საგნად?

– რა ადგილი უჭირავს მათ ფოლკლორში სასულიერო თემას?

– გაიხსენონ ქართული სიმღერების ტექსტები, შელოცვები, დალოცვები, წყევლები, გამოცანები, თქმულებები, ლეგენდები, მითები, ანდაზები, მახვილსიტყვაობანი...

– რა ადგილს იჭერს ისტორიული თემატიკა მათ ფოლკლორში?

– მათ თურქულენოვან ზეპირსიტყვიერებაში თუ ჰპოვა რაიმე ასახვა ქართულმა თემატიკამ?

– აღწერონ მათი სახალხო დღესასწაულები, ქორწილი, დაკრძალვა, ადათ-ტრადიციები, თამაშობანი, გართობანი...

– განმარტონ, რატომ უსვამდნენ მათი წინაპრები ჭადზე ჯვარს?

– აღწერონ მათი ყოველდღიური ყოფა – ჭამა-სმა, სტუმარ-მასპინძლობა, სამზარეულო, კერძები, საცხოვრებელი კარ-მიდამოს შედგენილობა, ტრადიციული სამუშაო იარაღები... რა ქართული ნაკვალევია მათში დარჩენილი?

გასაუბრებაში მონაწილეობის მიმდებარე რაოდენობის გაზრდის მიზნით, ზემოთ წარმოდგენილი კითხვარის საფუძველზე თურქულ ენაზე შედგენილი სპეციალური ანკეტაც მოვამზადე ჩვენებურებში დასარიგებლად და მათში შეტანილ შეკითხვებზე პასუხის გასაცემად.

სამწუხაროდ, ამ შეკითხვათა დიდ ნაწილზე ჩვენი რესპოდენტების ნაწილი კონკრეტული პასუხის გაცემას ვერ ახერხებდა, რადგანაც აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით ან ძალზე ბუნდოვანი ცოდნა ჰქონდა, ანდა საერთოდ არაფერი იცოდა. კიდევ უფრო ძნელი გამოდგა მოსახლეობის გარკვეული ნაწილისათვის წინასწარ დარიგებული ზემოთ ხსენებული ანკეტით დასმულ კითხვებზე წერილობითი ფორმით პასუხის გაცემა. ჩვენს ამ მცდელობას ფაქტობრივად მნიშვნელოვანი შედეგი არ მოჰყოლია და თითქმის ყველა რესპოდენტმა, გარდა რამდენიმე მათგანისა, ხსენებული ანკეტები შეუვსებლად დაგვიბრუნა უკან.

თურქეთის შავი ზღვისპირეთში საკმაოდ დიდი რაოდენობით მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან გამართულ შეხვედრათა შედეგად მოპოვებული მასალების შესწავლამ და ანალიზმა ნათლად დაგვარწმუნა იმაში, რომ ეროვნულ-ქართული ცნობიერების გამოსატვის მიხედვით ისინი პირობითად შემდეგ მთავარ კატეგორიებად შეიძლება დავეყოთ:

პირველ პირობით ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ის ქართველები, რომელნიც საკმაოდ კარგად ფლობენ წინაპართა ენას და არა მარტო შინაგანი ცნობიერებით არიან თავიანთი ეროვნული იდენტობის მყარად ერთგულნი, არამედ აქტიურადაც ცდილობენ ამ იდენტობის მტკიცედ დაცვას. მათი ნაწილი საკუთარ ეროვნულ წარმომავლობას იმდენად დიდ მნიშვნელობასაც კი ანიჭებს, რომ ქართველებს თურქებთან შედარებით ინტელექტუალურადაც და პიროვნული ღირსებებითაც აღმატებულ ეთნოსად წარმოაჩენს ხოლმე.

ხსენებულ ჯგუფს ძირითადად ორმოცდაათ წელს გადაცილებულ ჩვენებურთა წარმომადგენლები მიეკუთვნებიან. საბედნიეროდ, სარფის სასახლეო ჭიშკრის გახსნის შემდგომ პერიოდში საქართველო-თურქეთს შორის დამკვიდრებული კეთილმეზობლური ურთიერთობის შედეგად ეროვნული ფესვებისაკენ რეალურად მიბრუნების ეს ტენდენცია საშუალო ასაკისა და ახალგაზრდა თურქეთელ ქართველთა გარკვეულ ნაწილშიც აშკარად ვლინდება.

ზემოთ ხსენებულ კატეგორიას მიკუთვნებული ჩვენი თანამემამულეები აქტიურად დგანან ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების გზაზე და რეალურად ცდილობენ თავიანთი წინაპრების ქართულ ფესვებთან კიდევ უფრო მეტად დაახლოებას. მისასალმებელია და ჩვენგან პრაქტიკულად მხარდასაჭერი ის გარემოება, რომ ხსენებული ცნობიერების მქონე ქართველთა უმეტესობა, მათ შორის ახალგაზრდების გარკვეული ნაწილიც, ამ ბოლო პერიოდში აქტიურად ცდილობს როგორც ქართული ენის რეალურად შესწავლას, ისე საქართველოში მცხოვრები მათი სისხლისმიერი ნათესავების მოძიებასა და მათთან ურთიერთობის დამყარებას.

ცალკე კატეგორიად შეიძლება გამოვყოთ ის ქართველები, რომელთათვისაც მათი ქართული წარმომავლობა უკვე ცხოვრების განვლილ ეტაპს წარმოადგენს და მხოლოდ ბუნდოვნად თუდა იციან, მათი წინაპრები ეთნიკური წარმომავლობით ქართველები რომ ყოფილან. სამწუხაროდ, მათ აღარც თავიანთი ქართული გვარი ახსოვთ, არც ქართული ენა იციან და თავიანთი ცნობიერებითაც და ყოფა-ცხოვრებითაც

თურქულ ეთნოსთან უკვე იმდენად არიან ასიმილირებული, რომ ფაქტობრივად თავიანთ ქართულ ფესვებთან მიბრუნებისა და დაახლოების სურვილს უკვე აღარ ამჟღავნებენ.

წინამდებარე პირობით კლასიფიკაციაში ცალკე შეიძლება გამოვყოთ ის ქართველები, რომლებიც ზემოთ დასახელებულ კატეგორიათა შორის არიან მოქცეული. საბედნიეროდ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი თავიანთ ქართულ წილს ენობრივადაც და ცნობიერებითაც უკვე საკმაოდ არიან მოწყვეტილი და მათი არცთუ მცირე ნაწილი თავის ეროვნულ წარმომავლობას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აღარ ანიჭებს, ქართული ფესვები მათი თვითშეგნებიდან ჯერ კიდევ არაა ბოლომდე ამოძირკვეული. არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ამ ადამიანთა ეროვნული მომავალი არსებითად იქნება დამოკიდებული იმ პოლიტიკაზე, რომელსაც თურქეთელ ქართველობასთან საუკუნეების განმავლობაში გაწყვეტილი და ამ ბოლო დროს აღდგენილი ურთიერთობის განსამტკიცებლად გაატარებს არა მარტო ჩვენი ხელისუფლება, არამედ მთელი ქართველი საზოგადოება.

ცალკე კატეგორიად შეიძლება გამოვყოთ ის ქართველები, რომლებიც თავიანთ მუსლიმურ რწმენას იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, რომ მასთან შედარებით ეროვნულ კუთვნილებას თითქმის აღარავითარ მნიშვნელობას აღარ აძლევენ.

და ბოლოს, თურქეთელ ქართველთა შორის განსაკუთრებით დიდია იმათი რაოდენობა, ვინც თუმცა ქართული ენა არ იცის, მაგრამ მაინც ქართველობს და ამაცობს კიდევ თავისი ქართველობით. ამ შემთხვევაში მეტად მნიშვნელოვანი ისიცაა, რომ მათ არცთუ მცირე ნაწილს წინაპართა ენის შესწავლის რეალური სურვილიც აქვს. ამ ქართველთა ეროვნულ-ქართული ცნობიერება კარგად ვლინდება ერთ-ერთი ჩვენი რესპოდენტის იმ დიალოგში, რომელიც მასა და მის შვილს შორის გამართულა საქართველოდან მისი დაბრუნების შემდეგ. აი, მისი ეს მონათხრობი:

- შინ რომ დავბრუნდი, - გვითხრა მან, - ჩემმა ქალიშვილმა მკითხა:
- მამა, ქართული რომ არ იცი, იმ ხალხს რა ენაზე ელაპარაკებოდიო?
- რა თქმა უნდა, ქართულადო! - ვუპასუხე მე.
- როგორ? შენ უცხო ენა რომ არ იცოდიო?
- ქართული ჩემთვის უცხო ენა კი არა მშობლიური ენაა-თქო, - ვუთხარი.

სამწუხაროდ, ქართული ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო საშუალების, არეალი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვიწროვდება. დღესდღეობით იგი ამ ფუნქციას მხოლოდ იმ სოფლებში ასრულებს (და იქაც საკმაოდ შეზღუდულად), სადაც უმეტესწილად ქართველები ცხოვრობენ. თუმცა, იმის გამო, რომ ასეთ კომპაქტურ ქართულ დასახლებათა რაოდენობა დღითიდღე მცირდება, ქართველთა ეროვნულ პერმეტიზმს უფროდაუფრო ეცლება საფუძველი.

მაგალითად, თავად ჩვენებურების თქმით, თუ ადრე მხოლოდ ქართველებით დასახლებულ სოფელში რომელიმე მოსახლის მიერ კარ-მიდამოს გაყიდვის შემთხვევაში იქაურები ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ იქ სხვა ეროვნების კაცი არ ჩასახლებულიყო, ახლა ამას არავითარ მნიშვნელობას აღარ ანიჭებენ.

ასევე ხდება დაქორწინების შემთხვევაშიც. კერძოდ, განსხვავებით ამ 15-20 წლისგან, როცა ქართველი კაცი თავის ოჯახში არაქართველს არც რძლად შემოიყვანდა და არც სხვა ეროვნების წარმომადგენელს მიათხოვებდა, ახლა, გარდა იშვიათი გამონაკლისებისა, ამას უკვე ყურადღებას აღარ აქცევენ. ეროვნულად ერთმანეთში „ამ-დაგვარად არევა“ კი ქართულ ენას ბუნებრივად შეუზღუდა საასპარეზო სივრცე.

ზემოთ აღნიშნული კუთხით არსებულმა არასასურველმა მდგომარეობამ ბოლო ათწლეულების განმავლობაში კიდევ უფრო ფართო მასშტაბები შეიძინა ურბანიზაციის საყოველთაო პროცესის შედეგად. იმის გამო, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ან საბოლოოდ დამკვიდრდა ქალაქში, ანდა სოფელს მხოლოდ ზაფხულობით სტუმრობს,

ქართული ენის საკომუნიკაციო არეალი თვით ქართველებით დასახლებულ სოფლებშიც არსებითად შემცირდა.

ქალაქებში კი ქართველთა ნაკლები ეთნიკური შეკავშირების გამო ქართული ენა ძირითად საურთიერთო ფუნქციას უკვე ვეღარ ასრულებს. მართალია, იქ შექმნილი ქართულ სათვისტომოებსა და კულტურის ცენტრებში თავმოყრილი ქართველები ქართული ენის პროპაგანდასაც და პრაქტიკულ შესწავლასაც აქტიურად უწობენ ხელს, მაგრამ მათი ამგვარი მცდელობა აღნიშნული თვალსაზრისით არსებული ვაკუუმის შესავსებად ჯერ-ჯერობით საკმარისი არ არის.

თურქეთის შავი ზღვისპირეთში გატარებული ათი დღის განმავლობაში ბევრ ისეთ იქაურ ქართველს შევხვდით, რომელთაც უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობები მოგვაწოდეს როგორც მათი წინაპრების, საერთოდ, თურქეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების, ისტორიულ ყოფის შესახებ, ისე უშუალოდ მათ ეროვნულ ცნობიერებასთან დაკავშირებით.

მართალია, ხსენებულ რეგიონში მცხოვრებ ქართველთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა, სათანადო სტატისტიკური მონაცემების არარსებობის გამო, შეუძლებელია, მაგრამ ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის შედეგად კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ თურქეთის რესპუბლიკის ამ მხარეში (ქალაქ ფაცაში, აგრეთვე უნიეში, გირესუნში, ორდუში, სამსუნში, სინოპსა და მათ ვილაიეთებში მდებარე სოფლებში) ქართველი მუჰაჯირების შთამომავალთა დიდი რაოდენობა ცხოვრობს.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის პერიოდში შეხვედრების გამართვა დასახლებულ რეგიონებში მცხოვრებ ქართველთა მხოლოდ მცირე ნაწილთან მოვახერხეთ, ამ შეხვედრათა შედეგად მაინც გახდა შესაძლებელი, განზოგადებული წარმოდგენა რომ შეგვექმნოდა მათ ეროვნულ თვალთახედვასა და ენობრივი თვალსაზრისით დღესდღეობით არსებულ მდგომარეობაზე.

ლოგორც უკვე ითქვა, ჩვენებურების დიდ ნაწილს თავიანთ ისტორიულ წარსულთან და ეთნიკურ წარმომავლობასთან დაკავშირებით საკმაოდ ბუნდოვანი და ზედაპირული ცოდნა აქვს და ძირითადად იმით განისაზღვრება, მათი წინაპრები ქართველები რომ იყვნენ.

გარდა უიშვიათესი გამონაკლისებისა, მათ არც ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან იციან რაიმე და არც ჩვენი ერის ფართოდ ცნობილ პიროვნებათა შესახებ. მაგალითად, განსხვავებით მათი წინაპრებისაგან, რომელთა დიდი ნაწილისთვის თამარ მეფის სახელი, როგორც სიმბოლო მათი ისტორიული სამშობლოს ძლიერებისა და ეროვნული სიამაყისა, საყოველთაო სიყვარულის საგნად იყო ქცეული, ჩვენი რესპოდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, მისი სახელიც კი არ აქვს გაგონილი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მიერ გამოკითხულ ქართველთა მნიშვნელოვანი ნაწილი (უმთავრესად უფროს და საშუალო თაობათა წარმომადგენლები, ახალგაზრდებისა და ბავშვებისა კი ნაკლებად) დამაკმაყოფილებლად ახერხებს ქართულად საუბარს, მათ შორის წინაპართა ენაზე წერა-კითხვის მცოდნენი ძალზე იშვიათად გვხვდებიან.

სამწუხაროდ, გარდა რამდენიმე გამონაკლისისა, მათ არც იმ კანონის შესახებ იციან რაიმე, თურქეთის ხელისუფლებამ რომ მიიღო ამ რამდენიმე წლის წინათ იმასთან დაკავშირებით, ამ ქვეყნის ეროვნულ უმცირესობათაგან მსურველთა გარკვეული რაოდენობის მოგროვების შემთხვევაში სკოლებში მათი ენის სწავლებაც რომ იქნება შემოღებული.

ჩვენს შეკითხვაზე, მათი შვილები და შვილიშვილები რეალურად რამდენად მონიღომებდნენ ამის გაკეთებას, მათმა მხოლოდ გარკვეულმა ნაწილმა განაცხადა თანხმობა, თუმცა არცთუ ისე დიდი ენთუზიაზმით.

მიუხედავად იმისა, რომ თურქეთში მცხოვრებ ყველა ქართველს თურქული გვარი აქვს მიღებული, მათმა დაახლოებით ნახევარმა არა მარტო თავისი ქართული წარმომავლობა იცის, არამედ მისი წინაპრების ქართული გვარიც.

შეკითხვაზე, – მათი აზრით, რამდენი მილიონი ქართველი ცხოვრობს თურქეთში დღესდღეობით? – ჩვენი რესპოდენტები განსხვავებულ პასუხს გვცემდნენ. კერძოდ, მათ მიერ დასახელებული ყველაზე მცირე რაოდენობა 1-1,5 მილიონს შეადგენდა, ყველაზე დიდი კი რვა მილიონს. როგორც წესი, ამ რაოდენობაში ისინი ლაზებს არ გულისხმობდნენ. თუმცა ბევრი მათგანი მათ ქართველთა მოძმე ხალხად მიიჩნევს.

სამწუხაროდ, განსხვავებით ბოლო 30-40 წლების წინანდელი პერიოდისაგან, როცა ჩვენებურების სალხინო სუფრებზე ქართული სიმღერებიც გაისმოდა და ქართული ცეკვებიც სრულდებოდა, დღესდღეობით მათი ადგილი უკვე თურქულმა ცეკვებმა და სიმღერებმა დაიკავეს. ქართული ზეპირსიტყვიერი შემოქმედების მცოდნენიც კანტიკუნტად თულა არიან შემორჩენილი ხანდაზმულ ჩვენებურთა სახით.

თურქეთის შავი ზღვისპირეთის იმ ადგილებში, სადაც ჩვენი ექსპედიცია იმყოფებოდა, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. მათი უდიდესი ნაწილი იქ რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდგომ პერიოდში გადასახლდა რუსეთის მიერ იმხანად მიერთებული ისეთი ქართული ტერიტორიებიდან, როგორებიცაა აჭარა, მაჭახელი, ბორჩა, მურღულის ხეობა, ართვინის მხარე (თუმცა ამ ტრაგიკული მოვლენის დაწყებას დასაბამი უფრო ადრეც, რუსეთ-თურქეთის 1828-1829 წლების ომის შედეგად, მიეცა).

მუჰაჯირობის სახელით ცნობილი ეს ტრაგიკული მოვლენა, რომლის შედეგადაც ხსენებული რეგიონები მოსახლეობის დიდმა ნაწილმა დატოვა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მიმდინარეობდა და გასული საუკუნის 30-იანი წლების შუა ხანებამდე, საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთთან არსებული სახელმწიფო საზღვრის უმტკიცესად ჩაკეტვამდე, გაგრძელდა მეტ-ნაკლები ინტენსიობით.

ძირითადად ოსმალეთის ხელისუფლების ორგანიზებით მიმდინარე ამ პროცესს უმთავრეს საფუძვლად რელიგიური ფაქტორი ედო. კერძოდ, ხსენებულ რეგიონებში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები მშობლიურ კარ-მიდამოს უპირველეს ყოვლისა სწორედ მათი მუსლიმური რწმენის გამო ტოვებდნენ და ოსმალეთში მიდიოდნენ საცხოვრებლად. ამ ნაბიჯის გადასადგმელად მათ ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებაცა და იქაური სასულიერო პირებიც აქეზებდნენ.

თუმცა, ოსმალეთის ხელისუფლებისა და სასულიერო პირების გარდა, მუჰაჯირობით ცარიზმიც იყო დაინტერესებული.

სამწუხაროდ, ოსმალეთისა და რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებათა ამ მზაკურულმა ჩანაფიქრმა მათთვის სასურველი შედეგი გამოიღო და რუსეთის მიერ ახლად შეერთებულ ქართულ რეგიონებში (აჭარა, მაჭახელი, მურღულის ხეობა, ართვინი...) მცხოვრებ ქართველ მუსლიმანთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზემოთ ხსენებულ პერიოდში სამუდამოდ მიატოვა წინაპართა მიწა. სწორედ მაშინ გაჩნდა ქართული დასახლებანი თურქეთის შავი ზღვისპირეთში.

როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ქართული ენის, როგორც ძირითადი საკომუნიკაციო საშუალების, არეალი, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ვიწროვდება. დღესდღეობით იგი ამ ფუნქციას მხოლოდ იმ სოფლებში ასრულებს (და იქაც საკმაოდ შეზღუდულად), სადაც უმეტესწილად ქართველები ცხოვრობენ. თუმცა ასეთ კომპაქტურ ქართულ დასახლებათა რაოდენობა დღითიდღე მცირდება.

გარდა ქართველებისა, თურქეთის შავი ზღვისპირეთში ეროვნულ უმცირესობათა სხვა წარმომადგენლებიც – მათ შორის ლაზებიცა და აფხაზებიც – ცხოვრობენ, რომლებთანაც იქაურ ქართველებს საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვთ. ჩვენს შეკითხვაზე, ლაზებს რამდენად მიიჩნევენ მათ მოძმე ხალხად და ქართული ეთნოსის ნაწილად, მათმა უმეტესობამ, სამწუხაროდ, უარყოფითი პასუხი გაგვცა.

მოკლედ, ასეთია თურქეთის შავი ზღვისპირეთში ჩვენი სამეცნიერო ექსპედიციის ათდღიანი მუშაობის შედეგები. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხანმოკლე დროის განმავლობაში ხსენებულ რეგიონებში საკმაოდ მრავლად არსებულ ქართულ დასახლებათა მხოლოდ მცირე ნაწილში შევძელით მისვლა და იქ მცხოვრებ ქართველთა შეზღუდულ რაოდენობასთან გასაუბრება, ჩვენ მიერ მოპოვებული მასალები, ვფიქრობ, მაინც იძლევა საფუძველს საიმისოდ, კიდევ უფრო ღრმად რომ გავიაზროთ და ახალი წახნაგებით წარმოავაჩინოთ თურქეთის შავი ზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველთა ისტორია, თანამედროვე ყოფა, ეროვნული ცნობიერება და ენობრივი თვალსაზრისით დღესდღეობით იქ არსებული მდგომარეობა.

ამგვარი ექსპედიციების მოწყობა უადრესად მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისითაცაა, რომ გლობალიზაციის საყოველთაო პროცესის აქტიურად და მასშტაბურად მიმდინარეობის შედეგად ხსენებულ რეგიონებში (და არა მარტო იქ, არამედ მთელს თურქეთშიც) მცხოვრებ ქართველთა დიდი ნაწილი უკვე რეალურად წყდება წინაპართა ეროვნულ და ენობრივ ფესვებს და მეტ-ნაკლები ინტენსივობით მიმდინარეობს თურქულ ეთნოსთან მათი ასიმილირების პროცესი. ამ სამწუხარო და გულსატკენი მოვლენის გამო კი უკვალოდ იკარგება მათი ეროვნული და ენობრივი იდენტობის წარმომჩენი მხარეები.

თუმცა, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, ჩვენს თურქეთელ მოძმეებთან გამართული მრავალრიცხოვანი შეხვედრების შედეგად იმაშიც დავრწმუნდით, რომ ჩვენებურების გარკვეული ნაწილის ცნობიერებაში ეროვნული თვითშეგნების გააქტიურებისა და ისტორიულ ფესვებთან მათი აქტიურად დაახლოების ტენდენციაც აშკარად ვლინდება, რასაც ჩვენგან მეტი ყურადღების გამოსჩენა და რეალური მხარდაჭერა სჭირდება.

## ლიტერატურა

ნიკოლეიშვილი ა. თურქული დღიურები, ქუთაისი, 2010 წ.

ნიკოლეიშვილი ა. თურქეთის შავი ზღვისპირეთში – ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ქუთაისი, 2015 წ.

## A NATIONAL CONSCIOUSNESS OF THE GEORGIANS, WHO LIVE AT THE BLACK SEA COAST OF TURKEY

**Nikoleishvili A.**

**Summary:** The article relates to the materials, which were obtained on a mission in the summer in 2015, while researching the history and modern life of those Georgians, who live at Black Sea Coast of Turkey. In the mentioned region, mainly live the descendants of Georgian Muhajirs. They moved there after the period of the Russo - Turkish war (1877-1878) from those Georgian territories, which were joined by Russia at that period. Unfortunately, from their descendants, only the older generation acquires the language of ancestors. As for others, nowadays they are not paying much attention to their national origin, but some of them, consider themselves to be Georgians and are proud of this fact, though they do not know Georgian language.